ფიზიკურ კულტურასა და სპორტზე

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
4 მარტი,
1956 წელი
№ 19 (929)
ფასი 80 კაპ.
გამოცემის მე-12 წელი

ჩოგბურთი, ჰოკეი ბურთით

საერთაშორისო შეხვედრები

მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონის ბამბირის კორტებზე დამთავრდა ამხანაგური საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უნგრეთისა და ნორვეგიის სპორტსმენები.

ვაჟთა შორის ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა ი. აშბოტამ. მეორე ადგილზეა ს. ანდრეევი (სსრ კავშირი). ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ე. ჭერეული. მეორეზეა კ. ერდენი (ნორვეგია). ბოლო სამე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კუზმენკომ. შერეულ წყვილში გაიმარჯვეს უნგრელებმა ე. კერმეციმ და ა. იანჩომ, მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა ე. ჩუკერინამ და ნ. ოზეროვმა.

ვაჟთა წყვილებში საუკეთესონი იყვნენ უნგრელები ი. აშბოტი და ა. ადამი.



მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე რამდენიმე დღის განმავლობაში ბურთიან ჰოკეიში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შვეიცის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის (ორი გუნდი) ჰოკეისტები.

ასეთი ტურნირი მოსკოვში პირველად მოეწყო 1954 წელს და დამთავრდა შვედების გამარჯვებით. ახლა შვეიცის გუნდმა თავისი პირველი მატჩი წაგო სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან ანგარიშით 2:4. ამავე ანგარიშით მოუგო საბჭოთა კავშირის პირველმა გუნდმა ფინეთის ნაკრებს.

შეჯიბრების მეორე დღეს კვლავ გამეორდა ერთიდაიგივე ანგარიში. შვეიცის ჰოკეისტებმა დაამარცხეს ფინელები (3:1), ხოლო საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრა დამთავრდა მეორე ნაკრების გამარჯვებით (3:1).

ამრიგად, ტურნირში გაიმარჯვეს საბჭოთა კავშირის მეორე გუნდმა, მეორე ადგილი დაიკავა პირველმა გუნდმა, მესამე — შვეიცამ.

• • •

სურათზე: მარცხნივ — ბურთიან ჰოკეის თამაშის მომენტი. მოედანზე არიან შვეიციისა და საბჭოთა კავშირის ჰოკეისტები. მარჯვნივ ზევით — უნგრელი ჩოგბურთელი ა. იანჩო. ქვევით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ს. ანდრეევი.

ნაკრები გუნდები—ყურადღების ცენტრში

დედაქალაქის სპორტული ბაზები კვლავ აახმიანეს სპორტსმენებმა, ... გაისმის გულშემატკივართა ... ბანევებელი შეძახილები — მიმართავს ლენინის, სტალინის, კაგანოვიჩის, 26 კომისრის სახ. რაიონების სპარტაკიადები. შეჯიბრებები დაწყო მოსწავლეებმა, მალე ჩაებმებიან ... მოსამსახურეებიც. ასე, რომ ... წლის სპორტული სეზონის პირველი მასობრივი ღონისძიება საქართველოს სპარტაკიადის წინ ... — დაიწყო.

ჩვენი გაზეთის მიერ მოწყობილ-... ,რომელიც მიზნად ისახავ-... სპუბლიკურ ნაკრებ გუნდებ-... სწავლო-სავარჯიშო და პოლიტ-... ბრძოლებობითი მუშაობის შემოწ-... ,ნათლად გვიჩვენა, რომ საქარ-... ,ოს უძლიერეს სპორტსმენებს, ... ,ნელებს, რომლებიც ამ კოლექ-... ,ში არიან გაერთიანებულნი, ... ,ერ წინააღმდეგობის დაძლევა უხ-... .

... ,ზე მტკივნეული საკითხი ... ,და ისევ სპორტული ბაზებისა ... ,სპორტინვენტარის სიმცირეა. მარ-... ,ი, სპორტული ბაზები ვერ აკმა-... ,ლებს სპორტსმენთა გაზრდილ ... ,ბებს, მაგრამ სპარტაკიადისა-... ,ბაზების დღეებში ამ საქმეს ... ,ერით ვუშველით — რაც გაგ-... ,ნა იმით უნდა დავკმაყოფილ-... ,ოთ, მხოლოდ აუცილებლად უნდა ... ,ოთ იმას, რომ დედაქალაქის ... ,ტული ნაგებობანი მაქსიმალუ-... ,ად დავტვირთოთ, რომ უქმად არ ... ,ოთ არც ერთი საათი, არც ... წუთი.

... ,ბა რომ სპორტინვენ-... ,ბარეში შეუძლებელია სპორტ-... ,ის გამოწრთობა, მის მიერ არ-... ,ული სპორტულ სახეობაში ნამდვი-... ,ლი დოსტატება. მაგრამ რესპუბლი-... ,ის ნაკრებ გუნდებში ამ მხრივ და-... ,ბოყოფილებელი მდგომარეობა რო-... ,ბა, ზოგჯერ საქმე კურიოზამდეც ... ,ბა. — არ გაგვაჩნია ელექტრო-... ,ნები, როგორ შევხვდეთ სტუმ-... ,ბს, — გაიძახოდნენ რესპუბლიკის ... ,ერესი მოფარიკავეები თბილი-... ,ბ და კიევის გუნდების ამხანაგუ-... ,ბ შეხვედრის წინ. მსგავს მდგომა-... ,ობაში არიან ხუთჭიდელები, ... ,ით მსროლელები და სპორტის ... ,ს სახეობათა წარმომადგენლები. ... ,ის ეს, თუ არა საქმისადმი ... ,ულო დამოკიდებულება, რო-... ,ც რესპუბლიკის სავაჭრო ორ-... ,ციები იჩენენ. ნუთუ ახლა ... ,დრაა, რომ სპორტინვენტარის ... ,ებობაზე ვილაპარაკოთ, როცა ... ,კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ... ,ებამდე ცოტა დრო დარჩა, რო-... ,ესპუბლიკის ნაკრები გუნდები ყველაფრით უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ?

ამ ცოტა ხანში ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფართო აქტივის დახმარებით მრავალი ნაკლოვანება აღმოფხვრა ნაკრები გუნდების მეცადინეობაში. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა ნაკრები გუნდების წევრებს შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, მოწვეულ იქნა ნაკრები გუნდების პოლიტხელების თათბირი. მითითება მიეცა მათ რათა გაუმჯობესონ პოლიტმასობრივი მუშაობა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელი საქციელის გამოვლენის ფაქტებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის სპორტული საზოგადოებები, რომელთა სპორტსმენები ნაკრებ გუნდებში ირიცხებიან, არ ინტერესდებიან თუ როგორ იმაღლებენ მათი წარმომადგენლები შედეგებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ ნაკრები გუნდების ნორმალური მეცადინეობა საერთო საქმეა და მასში შეძლებისდაგვარად ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

სოციალისტური სამშობლოს მილიონობით მშრომელი უსაზღვრო კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, სადაც დასახულია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის კიდევ უფრო მძლავრი განვითარების გრანდიოზული გეგმები. ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა აღნიშნა:

„მშრომელთა ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ფიზიკურ კულტურასა და სპორტს. უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოსახლეობის ფართო ფენებში ფიზკულტურის მასობრივი განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობაში ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის გაუმჯობესებას“.

ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი ზრუნვა ფიზკულტურასა და სპორტზე, რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ნაკრები გუნდების წევრებს, ყველა ფიზკულტურელს ავალებს კიდევ უფრო ამრავლონ წარმატებები, გულმოდგინე მუშაობით აიმაღლონ ტექნიკური მაჩვენებელი, რაც საწინდარი იქნება იმისა, რომ სასახელოდ დავიცვათ რესპუბლიკის სპორტული სახელი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე.

თბილისის „დინამო“ ლიდერობას ინარჩუნებს

ზამთრის საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში

ზამთრის საკავშირო პირველობის მეორე ეტაპს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები კიევში ატარებდნენ. აქ მათ ორი შეხვედრა ჰქონდათ ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ და რიგის „სპარტაკთან“.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადელები და თბილისელები. თბილისელთა რიგებში იყვნენ ქორქია, გურამ აბაშიძე, მინაშვილი, კილაძე, ეღენტი. „ბურევესტნიკის“ გუნდში თამაშობდნენ მანონტოვი, ფომიჩევი, ნეკრასოვი, კუტუზოვი, ბენედიქტოვი. ბრძოლა თავიდანვე მეტად დაძაბულ ხასიათს ატარებდა. ამაზე ტექნიკური ანგარიშიც მეტყველებს. აი ისიც: მე-4 წუთი. წინარის ლენინგრადი — 6:3. მე-6 წუთი — ანგარიში გათანაბრდა — 11:11. მე-9 წუთზე „დინამოს“ წარმომადგენლები დაწინაურდნენ ერთი ქულით. პირველი ნახევრის დამთავრებამდე ანგარიში კიდევ რამდენჯერმე საყიმო იყო — 21:21, 25:25, 30:30. ტაიმი თბილისელებმა მოიგეს — 34:31.

მეორე ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეს იყო. რამდენიმე მეტად საჭირო ბურთს ათავსებენ კალათში ჯორჯიკია და ინწკირველი. ლენინგრადელები ცდილობენ გაათანაბრონ ძალთა შეფარდება, მაგრამ ამაოდ. შეხვედრის საბოლოო შედეგია 69:58 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ.

კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა თბილისის ჯუნდის შეხვედრა რიგის „სპარტაკთან“. (თბილისი — ქორქია, გურამ აბაშიძე, გვანცელაძე, მინაშვილი, კილაძე, რიგა — კარნიტისი, კალნერტი, ვერიტისი, კალნინში, ოსტროუხსი). უპირატესობა მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში ცვალებადი იყო. ტაიმი თბილისელებმა მოიგეს მხოლოდ ერთი ქულით — 26:25.

მეორე ნახევარში მინიმალური უპირატესობით ანგარიში თბილისელებს მიჰყავდათ. მხოლოდ ერთხელ, 27-ე წუთზე, წინ ლატვიელი სპორტსმენები გავიდნენ ორი ქულით. მატჩი მოიგო თბილისის „დინამომ“ — 55:49.

მოგვყავს დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები: „სპარტაკი“ (რიგა)-„ბურევესტნიკი“ (კიევი) — 72:57, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-„ელგერისი“ (კაუნასი) — 60:54, „სპარტაკი“ (რიგა) - „ელგერისი“ (კაუნასი) — 71:55, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი“ (კიევი) — 78:66

დამთავრდა ზამთრის საკავშირო პირველობის მეორე ეტაპი. გუნდებს სათამაშო დარჩათ 3-4 შეხვედრა. რა მდგომარეობაა ვაჟთა სატურნირო ცხრილში?

პირველ ადგილზეა თბილისის „დინამო“ და რიგის ოფიცერთა სახლი. მათ არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ და აქტივში აქვთ 6-6 გამარჯვება. თბილისელებს რიგის გუნდთან თამაშის გარდა, რომელსაც ვადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, დარჩა შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან“ და ტარტუს „კალევთან“. ლატვიის სპორტსმენები უნდა ეთამაშონ („დინამოს“ გარდა) კიევის „ბურევესტნიკსა“ და კაუნასის „ელგერისს“.

მოსკოვის „დინამოსა“ და რიგის „სპარტაკს“ აქვთ მხოლოდ 2-2 წაგება და გათამაშების ცხრილში მესამე-მეოთხე ადგილი უჭირავთ. შემდეგ ოთ-ოთხი წაგებით მოდიან თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბი, კაუნასის „ელგერისი“, ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ტარტუს „კალევს“ და კიევის „ბურევესტნიკს“ არ აქვთ არც ერთი მოგება.

ვ. ულენტი,
კიევი. ჩვენი სპეც. კორ.

რეკორდი 22 დღით

მსუბუქი წონის ძალოსანთა მსოფლიო რეკორდი აპიმეაში საბჭოთა სპორტსმენს ფ. ნიკიტინს ეკუთვნოდა და 120,5 კილოგრამს უდრიდა. 3 თებერვალს ურალის სამხედრო ოლქის ძალოსანთა შეჯიბრებაზე მან თავისივე შედეგი 500 გრამით გაუმჯობესა, მაგრამ ახალმა რეკორდმა მხოლოდ 22 დღე იარსება.

25 თებერვალს „ვრილია სოვეტოვის“ ძალოსანთა შეჯიბრების დროს რ. ხაბუდტინოვმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი მსუბუქი წონის ძალოსანთათვის (121,5 კგ.).

ჩემპიონი

ტი მიეცა რბენას 1.500 მეტრზე. გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ი. მიხაილოვმა, რომლის შედეგია 2 წუთი 13,9 წამი.

სამი დისტანციის შემდეგ ლიდერობდნენ გრიშინი და მიხაილოვი. მაგრამ 10.000 მეტრზე რბენაში ჩვენი მოკიგურაველების უმრავლესობა გამოვიდა თავის შესაძლებლობებზე დაბლა. ამ დისტანციაზე გაიმარჯვა კ. იუპანესენმა, რომელმაც აჩვენა ჩინებული დრო — 16 წუთი 50,1 წამი.

გრიშინს სტარტი მიეცა უკანასნელ წუყლში. იმისათვის, რომ პირველი ადგილი დაეკავებინა საერთო ჩათვლაში, მას 10.000 მეტრი უნდა დაეფარა არა ნაკლებ 17 წუთისა და 35 წამში. მან შეძლო ამ ამოცანის შესრულება და აჩვენა 17.34,5. ოთხჭიდის ჯამში დააგროვა რა 190,692 ქულა, დაიკავა საერთო პირველი ადგილი. ე. გრიშინს მიენიჭა 1956 წლის ევროპის ჩემპიონის წოდება.

ე. გრიშინი—ევროპის

ელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე ჩატარდა ევროპის პირველობა ... ,ციგურო სპორტში ვაჟთა შო-... .

... ,ერველად სტარტი მიეცა რბე-... 500 მეტრზე. საბჭოთა სპორტ-... ,ბა ე. გრიშინმა დაიკავა პირ-... ,ი ადგილი ოლიმპიური სტა-... ,ნის საციგურაოს ახალი რე-... ,დით — 42,4.

... ,ვე ბრძოლა გაჩაღდა რბე-... 5.000 მეტრზე. საციგურაოს ... ,ი რეკორდი დაამყარა საბჭოთა ... ,ტსმენმა რ. მერკულოვმა — 8.18,1. ო. გონჩარენკომ ეს შედეგი გაუმჯობესა 1,4 წამით, მაგრამ საუკეთესო შედეგი ამ დისტანციაზე აჩვენა ნორვეგიელმა იუჰანესენმა, რომლის დროა 8.12,5. ე. გრიშინმა სტარტი მარტო აიღო, ვინაიდან მისი მოწინააღმდეგე ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდა ყინულზე. მიუხედავად ამისა, გრიშინმა დისტანცია დაფარა 8 წუთსა და 29 წამში, რითაც ორი დისტანციის შემდეგ ხელთ იგდო ლიდერობა.

მეორე დღეს პირველად სტარ-

ათი უძლიერესი

მძლეოსნოგა

1955 წლის 1 იანვრისათვის ვაჟები

რბენა 100 მეტრზე. 1. ლ. სანაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 10,5. 2. ᲗᲐ. გეგეშიძე (თბილისი „ბურევესტნიკი")—10,7. 3-5. ლ. ანთაძე (თბილისი „ლოკომოტივი"), რ. ტრაპაიძე (თბილისი „დინამო"), ს. კუჩერენკო (საბჭოთა არმია) — 10,8. 6-7. ზ. ჯარაშნელი (ბათუმი „ვოდნიკი"), ბ. სამოილენკო (თბილისი „დინამო") — 10.9. 8-9. ვ. ბორისენკო (ბათუმი „ვოდნიკი"), ვ. ლოლაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 11,0. 10. ე. ფილიევი (ბათუმი განათლების განყოფილება) — 11,1.

1954 წ. საუალო შედეგი — 11,0.
1955 წ. საუალო შედეგი — 10,9.

რბენა 200 მეტრზე. 1. ლ. სანაძე — 21,7. 2. რ. ტრაპაიძე — 21, 8. 3 ლ. ანთაძე — 22,1. 4. მ. გეგეშიძე — 22,3. 5. ს. კუჩერენკო — 22,6. 6-7. ბ. სამოილენკო, პ. ბელეცკი (თბილისი „დინამო") — 22.8. 8-10. ა. ივაშჩენკო (სოხუმი განნ. განყ.), ზ. ჯარაშნელი, ე. ფილიევი — 23.0.

1954 წ. საუალო შედეგი — 22,9.
1955 წ. საუალო შედეგი — 22,5.

რბენა 400 მეტრზე. 1. ლ. სანაძე — 49,0. 2. რ. ტრაპაიძე — 49.4. 3. პ. კუდრიავცევი (თბილისი „დინამო") — 50,2. 4. ვ. მუსხელიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 51,1. 5. ე. ფილიევი — 51,8. 6. ა. ბოკუჩავა (საბჭოთა არმია) — 51,9. 7-8. ა. მალოიანი (თბილისი „ბურევესტნიკი"), ე. ლომთათიძე (თბილისი „კრ. ზნამია")—52,2. 9-10 გ. კაკნაძე (თბილისი „ბურევესტნიკი"), ვ. სპიცინი (საბჭოთა არმია) — 52,3.

1954 წ. საუალო შედეგი — 52,2.
1955 წ. საუალო შედეგი — 51,2.

რბენა 800 მეტრზე. 1. პ. კუდრიავცევი — 1.53,5. 2. ი. ვოლობუევი (ბათუმი „ვოდნიკი") — 1.54,4. 3. ვ. მუსხელიშვილი — 1.58,8. 4. ვ. სპიცინი — 1.59,0. 5. ა. მალოიანი — 1.59,1. 6. ი. კოროსტელევი (ქუთაისი განნ. განყ.) — 1.59,7. 7. ზ. დეკანოსიძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 2.01,2. 8. გ. ხომერიკი (თბილისი კოლექტივი) — 2.02,0. 9. პ. მაისურაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 2.02,9. 10-11. რ. ხიჩიგაშვილი (თბილისი განნ. განყ.), ნ. თავაური (თბილისი განნ. განყ.) — 2.03,0.

1954 წ. საუალო შედეგი — 2.05,1.
1955 წ. საუალო შედეგი — 1.59,5.

რბენა 1.500 მეტრზე. 1. ი. ვოლობუევი — 3 57,8. 2. ვ. სპიცინი — 4.00,8. 3. ვ. ბოზნარი (საბჭოთა არმია) — 4.05,2. 4. ა. ოკლიანსკი (ბათუმი „ვოდნიკი") — 4.05,8. 5-6. ვ. ვაშაკიძე (თბილისი „დინამო"), პ. კუდრიავცევი — 4.07,2. 7. ა. მალოიანი — 4.11,0. 8. ი. უშაკოვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 4.11,8. 9. ნ. ჩინენოვი (საბჭოთა არმია) — 4.15,2. 10. ვ. ზახაროვი (გულრიფში „კოლმეურნე") — 4.15,4.

1954 წ. საუალო შედეგი — 4.13,4.
1955 წ. საუალო შედეგი — 4.11,7.

რბენა 5.000 მეტრზე. 1. ვ. ვაშაკიძე — 15.12,8. 2. ი. უშაკოვი — 15.20,6. 3. ი. ვოლობუევი — 15.22,8. 4. ვ. სპიცინი — 15.37,6 5. ვ. ზახაროვი — 15.37,8. 6. ნ. ჩინენოვი — 15.57,4. 7. ვ. კაზლოუსკასი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 15.58,2 8. რ. კოკინი (საბჭოთა არმია) — 16.03,4. 9 კ. აგრბა (ტყვარჩელი „შახტიორი") — 16.12,8. 10. ა. ოკლიანსკი — 16.22,8.

1954 წ. საუალო შედეგი — 15.54,2.

1955 წ. საუალო შედეგი — 15.42,2.

რბენა 10.000 მეტრზე. 1. ვ. ზახაროვი — 31. 45,0. 2. ი. უშაკოვი — 31.47,8. 3. კ. აგრბა — 33.55,2. 4. ს. მაკიშვილი (თბილისი „დინამო") — 33.56,0. 5. გ. არახამია (სოხუმი „კოლმეურნე") — 37.17,8. 6. ო. სპირიდონოვი (გაგრა „კოლმეურნე") — 37.54,6. 7. ნ. კვეკვესკირი (გალი „კოლმეურნე") — 37.59,9. 8. ს. ტატულიანი (გაგრა „კოლმეურნე") — 38.19,8. 9. ა. ფონია (სოხუმი „დინამო") — 38.22,2. 10. ბ. რუხაია (ფოთი „ვოდნიკი") — 39.42,4.

1954 წ. საუალო შედეგი — არ არის ცნობილი.

1955 წ. საუალო შედეგი — 36.05,9.

თარჯრბენი 110 მეტრზე. 1. მ. ტუღუში (ბათუმი „დინამო") — 14,6. 2. გ. ლეკავა (თბილისი „დინამო") — 14.8. 3. გ. გვინჩიძე (თბილისი „დინამო") — 15,2. 4. ო. შკალა (ბათუმი „პიშჩევიკი") — 15,8. 5. ვ. ბაზალენკო (საბჭოთა არმია) — 16,3. 6. რ. ქართველიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 16,5. 7. ა. ანდრიასოვი (ბათუმი „სპარტაკი") — 16,6, 8. ე. ფილიევი — 16,8. 9. ბ. გველესიანი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 17,0. 10-16. გ. ბოხუა (ბათუმი „ბურევესტნიკი"), გ. გერასუნი (ბათუმი „ვოდნიკი"), რ. ნაგორნი (თბილისი „ბურევესტნიკი"), ვ. ცხვედიანი (თბილისი „ბურევესტნიკი"), მ. მამუჩაძე (თბილისი „ბურევესტნიკი"), ა. ჩანტლაძე (საბჭოთა არმია), ფ. გაბუნია (ქუთაისი „ბურევესტნიკი") — 17,2.

1954 წ. საუალო შედეგი — 16.2.
1955 წ. საუალო შედეგი — 16.1.

თარჯრბენი 400 მეტრზე. 1. ე. ფილიევი — 1.00,1. 2. გ. ლეკავა — 1.00,2. 3. ვ. ვაშაკიძე — 1.00.8. 4. მ. ტუღუში — 1.01,0. 5. ვ. მუსხელიშვილი — 1.02,8. 6. ა. ახალაცი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 1.03,0. 7. გ. კიკაბიძე (ბათუმი „ბურევესტნიკი") — 1.07,4 8. ა. ჩანტლაძე — 1.08.8. 9. ა. პაიჭაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 1.11.4.

1954 წ. საუალო შედეგი — 59,2.

1955 წ. საუალო შედეგი — 1.03.8.

რბენა 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით. 1. ვ. ვაშაკიძე — 9.19,8. 2. ვ. სპიცინი — 9.44,0. 3. გ. გოდერძიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 10.52,2. 4. ზ. დეკანოსიძე — 11.08.2. 5. ბ. სეკინი (თბილისი „ლოკომოტივი") — 11.21,4. 6. ი. კოტახიძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 11.21,6. 7. პ. მაისურაძე — 11.31,2. 8. ქირიკაშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 11.34,4. 9. ე. ცეპელნიკი (თბილისი „ლოკომოტივი") — 11.35,8. 10. ტ. მალიძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 11.45,0.

1954 წ. საუალო შედეგი — 10.22,8.

1955 წ. საუალო შედეგი — 11.01,4.

სიარული 10 კილომეტრზე. 1. ა. მუქედლიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 47.22,2. 2. ნ. კალანდაძე (თბილისი „დინამო") — 47.37,8. 3. რ. დელაროსა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 55.30,0. 4. ი. მარქაროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 55.30,2. 5. ი. დელაროსა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 56.08,8. 6. გ. წურწუმია (სოხუმი განნ. განყ.) — 57.45,5. 7. მ. დეტტიარი (სოხუმი განნ. განყ.) — 1:00.09,4. 8. ი. მინევიჩი (საბჭოთა არმია) — 1:01.48,4. 9. ს. მაკალათია (გაგრა განნ. განყ.) — 1:02.15.0. 10. ი. ბელი (გაგრა განნ. განყ.) — 1:02.58,0.

1954 წ. საუალო შედეგი არ არის ცნობილი.

1955 წლის საუალო შედეგი — 56.20,0.

სიმაღლეზე ხტომა. 1. რ. შავლაყაძე (თბილისი „დინამო") — 2 მ. 2. ნ. მაღლაფერიძე (ხარაგოული „კრ. ზნამია") — 1 მ 85 სმ. 3. ო. მამონოვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 1 მ 85 სმ. 4. ე. ფილიევი — 1 მ 76 სმ. 5-15. გ. ვიბლიანი (თბილისი „ბურევესტნიკი"), გ. ბოხუა (ბათუმი „ბურევესტნიკი"), ეფანოიძე (თბილისი გან. განყ.), ვახტანგოვი (თბილისი გან. განყ.), ი. კულუხოვი (სტალინირი განნ. განყ.), ა. დვალიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი"), ა. ამაღლობელი (თბილისი „ბურევესტნიკი"), თ. დოლაბერიძე (ქუთაისი „დინამო"), ს. ფრიდმანი (ქუთაისი „ბურევესტნიკი"), ვ. მიქელაძე (ქუთაისი „ბურევესტნიკი"), ა. რუსაძე (ქუთაისი „ბურევესტნიკი") — 1 მ 75 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 1 მ 75 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 1 მ 79 სმ.

სიგრძეზე ხტომა. 1. გ. გვინჩიძე — 6 მ 94 სმ. 2. ლ. გურგენიძე (ბათუმი „პიშჩევიკი") — 6 მ 90 სმ. 3. ს. ქავთარაძე (თბილისი, „ბურევესტნიკი") — 6 მ 83 სმ. 4. ლ. ანთაძე — 6 მ 80 სმ. 5-6. ზ. ძოძუაშვილი (ქუთაისი განნ. განყ.), ბ. სამოილენკო — 6 მ. 71 სმ. 7. ზ. წოკლაური (თბილისი „ბურევესტნიკი") — 6 მ. 68 სმ. 8. ვ. ალექსანდროვი (სოხუმი „ბურევესტნიკი") — 6 მ 62 სმ. 9. გ. ბოხუა — 6 მ 56 სმ. 10. ი. ხუციშვილი (საბჭოთა არმია) — 6 მ 54 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 6 მ 54 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 6 მ 73 სმ.

სამხტომი. 1. ვ. ალექსანდროვი — 14 მ 78 სმ. 2. ვ. ჩხეიძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 14 მ 18 სმ. 3. ო. თაყაიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 14 მ. 4. ა. ავიძბა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 13 მ 86 სმ. 5. ს. ჭინტარაშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 13 მ 75 სმ. 6. რ. რამაზაშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 13 მ 74 სმ. 7. თ. გველესიანი — 13 მ 51 სმ. 8. ლ. გურგენიძე — 13 მ 50 სმ. 9. ი. ხუციშვილი — 13 მ 49 სმ. 10. ა. ჩოჩიევი (სტალინირი „ბურევესტნიკი") — 13 მ 45 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 13 მ 42 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 13 მ 82 სმ.

ᲞᲝᲚᲘᲗᲘ ᲮᲢᲝᲛᲐ. 1. ი. შუქუროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 3 მ 90 სმ. 2. თ. მეკედლიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 3 მ 80 სმ. 3. ე. პიპინოვი (ბათუმი „დინამო") — 3 მ 75 სმ. 4. ბ. გველესიანი — 3 მ 70 სმ. 5. რ. გვიმრაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 3 მ 70 სმ. 6. ვ. ვენკეკეიჩი (თბილისი გან. განყ.) 3 მ 60 სმ. 7. გ. კობიაშვილი (თბილისი „ლოკომოტივი") — 3 მ 40 სმ. 8-11. ო. შკალა, ი. სანგულია (სოხუმი გან. განყ.), ა. ავიძბა, დ. გაბუნია (ქუთაისი „ბურევესტნიკი") — 3 მ 30 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 3 მ 49 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 3 მ 57 სმ.

ᲑᲐᲓᲠᲝᲡ ᲢᲥᲝᲠᲪᲜᲐ. 1. ვ. ბლიაძე (თბილისი „დინამო") — 46 მ 89 სმ. 2. გ. ჩადუნელი (თბილისი „სპარტაკი") — 46 მ 38 სმ. 3. შ. ტრანკაშვილი (სტალინირი „სპარტაკი") — 45 მ 60 სმ. 4. ა. მურავლიოვი (თბილისი „დინამო") — 43 მ 86 სმ. 5. ო. გოჩაშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 42 მ 96 სმ. 6. ი. ბაქრაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 41 მ 72 სმ. 7. ა. კალამკაროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 41 მ 37 სმ. 8. ი. ნოზაძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 40 მ 10 სმ. 9. ი. რეხვიაშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 40 მ 3 სმ. 10. კ. ლეკიშვილი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 39 მ 83 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 42 მ 32 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 42 მ 87 სმ.

ᲨᲣᲑᲘᲡ ᲢᲥᲝᲠᲪᲜᲐ. 1. ი. წულუკიძე (სოხუმი „ბურევესტნიკი") — 63 მ 75 სმ. 2. ი. გიგაური (თბილისი „ბურევესტნიკი") — 61 მ 62 სმ. 3. ვ. შმაკოვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 59 მ 34 სმ. 4. გ. ოჩიგავა (თბილისი „ბურევესტნიკი") — 57 მ 75 სმ. 5. ბ. პეტრენკო (თბილისი „ბურევესტნიკი") — 56 მ 21 სმ. 6. ვ. სალტანოვსკი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 55 მ 37 სმ. 7. ვ. ჩხეიძე (თბილისი „ბურევესტნიკი") — 54 მ 90 სმ. 8. ა. გოგიჩაიშვილი (თბილისი გან. განყ.) — 51 მ 5 სმ. 9. ა. პავლუშევი (თბილისი გან. განყ.) — 50 მ 57 სმ. 10. ს. ჯაბიევი (სტალინირი „ბურევესტნიკი") — 50 მ 25 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 54 მ 82 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 56 მ 8 სმ.

ᲣᲠᲝᲡ ᲢᲥᲝᲠᲪᲜᲐ. 1. რ. ტუროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 54 მ 93 სმ. 2. ნ. დევდარიანი (თბილისი „ლოკომოტივი") — 53 მ 14 სმ. 3 ა. მურავლიოვი — 52 მ 89 სმ. 4 კოვალენკო (თბილისი „დინამო") — 40 მ 58 სმ. 5. რ. კანდელაკი (თბილისი გან. განყ.) — 40 მ 48 სმ. 6. გ. ადამოვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 40 მ 20 სმ. 7. გ. ჩადუნელი — 39 მ 90 სმ. 8. შ. ტრანკაშვილი — 38 მ 97 სმ. 9. ი. ბაქრაძე — 36 მ 98 სმ. 10. რ. ახნაზაროვი (თბილისი „ბურევესტნიკი") — 36 მ 54 სმ.

1954 წ. საუალო შედეგი — 43 მ 86 სმ.

1955 წ. საუალო შედეგი — 43 მ 46 სმ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სსრ კავშირის თასი ფეხბურთში

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშება იწყრმოებს ეტაპებად. მისი პირველი ეტაპი მიზნად ისახავს შეჯიბრებაში ფიზიკური კულტურის კოლექტივების მასობრივად ჩაბმას, მათი კლასის ამაღლებას და მოკავშირე რესპუბლიკების თასის მფლობელთა გამოვლინებას.

სსრ კავშირის თასის პირველი ეტაპის მატჩები იწყრმოებს რაიონებში, ქალაქებში, ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში 1956 წლის 15 აგვისტომდე. შეჯიბრებები მოკავშირე რესპუბლიკებში ჩატარდება 15 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე.

ფინალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „ა" და „ბ" კლასის გუნდები, მოკავშირე რესპუბლიკათა თასის გათამაშებაში გამარჯვებულები (16 გუნდი), მოსკოვისა და ლენინგრადის თასის მფლობელები, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდათა საფეხბურთო სკოლები (5 გუნდი) და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს საფეხბურთო სკოლა, ჩატარდება შემდგომ, 1957 წელს. ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის გარდა, მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის თასის მფლობელები 1957 წელს მონაწილეობას მიიღებენ პირველი ეტაპის შეჯიბრებებში, რის შედეგადაც გამოვლინდება გამარჯვებულები 1958 წლის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

შეჯიბრება ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, ე. ი. დამარცხებული გუნდი კარგავს შემდგომ თამაშებში მონაწილეობის უფლებას. თუ თამაში დამთავრდა ფრედ (დამატებითი დროის ჩათვლით), იგი უნდა გადათამაშდეს მეორე დღეს. თუ გამარჯვებული არ გამოვლინდა მეორე დღესაც, ერთი დღის დასვენების შემდეგ ინიშნება შესაბამ თამაში. შემდგომი დამატებითი თამაშები ტარდება ყოველი ორი დღის დასვენების შემდეგ.

საქართველოს სს[illegible] სპარტაკიადის [illegible] ეზაკზე

ᲮᲔᲨᲘᲠᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲚᲓᲐ

ლენინის სახელობის [illegible] სპარტაკიადის პროგრამით [illegible] ლისწინებული სპორტის შეიდ[illegible] ობიდან შეჯიბრებები უკ[illegible] თავრდა სპორტულ ტანვა[illegible] ცურვისა და სროლაში. [illegible] ტანვარჯიშში პირველობისათ[illegible] რძოდა 12 გუნდის 200-ზე [illegible] სმენი.

გუნდურ ჩათვლაშ პირველ[illegible] გილი (1205,2 ქულა) მიიპოვა [illegible] სკოლის კოლექტივმა. II ა[illegible] გამოვიდა მე-4 სკოლა (1089,[illegible] ლა). პირად პირველობაში გ[illegible] შორის, რომლებიც ოსტატა[illegible] რამით გამოდიოდნენ, I ადგ[illegible] ლად ხვდა მე-4 სკოლის მო[illegible] ლ. ჩიხიაშვილს. მეორე ად[illegible] მე-12 სკოლის მოსწავლე ვ. [illegible] ნიძე. პირველთანრიგოსან გ[illegible] შორის საუკეთესო იყო ამავე [illegible] ლი თხრილელი (89,9 ქულა). ვ[illegible] ველთანრიგოსანთა შორის — [illegible] სკოლის მოსწავლე გ. ჭ[illegible] რომელმაც 98,85 ქულა დაგ[illegible]

15 გუნდა მონაწილეობდა [illegible] ში, რომელიც „დინამოს" [illegible] საცურაო აუზში ჩატარდა. [illegible] ვება წილად ხვდა მე-2 [illegible] გუნდს. II ადგილზე გ[illegible] მე-3 სკოლის სპორტსმენები [illegible] ნიშნავდა, რომ ვერცერთმა [illegible] სნენმა ვერ შეასრულა ს[illegible] ნორმატივი. დაბალი შედეგებ[illegible] ნიშნა შეჯიბრება მცირეკალ[illegible] ნი შაშხანიდან სროლაშიც. [illegible] მდგომარეობიდან სროლაში [illegible] ავჯობა რკინიგზის პირველი [illegible] გუნდმა (670 ქულა). II ადგ[illegible] მოვიდა მე-10 სკოლა (652 [illegible] პირად პირველობაში საუკეთ[illegible] დეგი ქონდა რკინიგზის I [illegible] მოსწავლეს ჯაბაშვილს (248 [illegible]

ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

ი. ბ. სტალინის სახელობ[illegible] ონის სპარტაკიადა, რომ[illegible] თებერვალს დაიწყო, მარტის [illegible] დე გასტანს. შეჯიბრება უკ[illegible] თავრდა ფრენბურთში. პირ[illegible] ერთმანეთს ეცილებოდა ვაჟთ[illegible] ქალთა 14 გუნდი. ქალთ[illegible] რაიონის ჩემპიონობა მოიპოვ[illegible] სკოლის მოსწავლეებმა. II ა[illegible] გამოვიდნენ 26-ე სკოლის, [illegible] — 28-ე სკოლის სპორტსმენ[illegible] ინტერესით მიმდინარეობდა [illegible] ლობა ვაჟთა გუნდებს შორ[illegible] მარჯვეს 27-ე სკოლის სპორ[illegible] მა, რომლებმაც მოიპოვეს [illegible] ჩემპიონის სახელი. II ადგ[illegible] მოვიდა მე-19 სკოლის, მესა[illegible] მე-6 სკოლის გუნდები.

50 მეტრიდ[illegible] სროლაში

23 თებერვალს „დინამოს" [illegible] ტულ დარბაზში საზეიმო [illegible] ში გაიხსნა კალინინის სახ[illegible] რაიონის სპარტაკიადა, [illegible] პროგრამაშია სპორტის 7 [illegible] უკვე გამოვლინდნენ გამარ[illegible] ლები ფრენბურთსა და [illegible] ფრენბურთელ გოგონათა [illegible] I ადგილი დაიკავეს 41-ე [illegible] სპორტსმენებმა. II ადგილზ[illegible] ვიდნენ 45-ე სკოლის მოსწ[illegible] ვაჟთა გუნდებიდან გაიმარჯ[illegible] სკოლის ფრენბურთელებმ[illegible] ლებმაც ფინალში ანგარიშ[illegible] დაამარცხეს I საუალო [illegible] სპორტსმენები. მესამე ადგ[illegible] ლად ხვდათ 43-ე სკოლის ფრ[illegible] თელებს.

მცირეკალიბრიანი შაშ[illegible] 50 მეტრზე სროლაში მონაწ[illegible] და 13 გუნდი. პირველი ა[illegible] მოიპოვეს 41-ე სკოლის სპ[illegible] ნებმა, რომლებმაც 1152 ქულ[illegible] როვეს. მეორე ადგილი წილად [illegible] 48-ე სკოლის ფიზკულტ[illegible] (871 ქულა). პირად პირველ[illegible] გაიმარჯვა ი. მიქაძემ (48-ე [illegible] რომელმაც საამავე მდგომარ[illegible] სროლით 255 ქულა [illegible] ჯიბრება გრძელდება.

შ. ᲞᲘᲠ[illegible]

დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა ტყვიით სროლაში

მსროლელებს მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სილუეტებისათვის ... ტყვია უნდა ესროლათ. გუნდურ ... შედიოდა მხოლოდ იმ ... სმენთა შედეგები, რომლებიც ... ერი თანრიგის ნორმატივს აჩვენებენ. „დინამოს“ ხუთეულიდან ... ორმა — კ. ფოტიევმა და ... ილლამ შეძლეს ამ ამოცანის ... ყვეტა, დოსაფის გუნდიდან ... ოლოდ დ. ბაჯელიძემ.

ცირეკალიბრიანი ნებისმიერი ... ლეტიდან სროლაში (ვარჯიში № 27) გაიმარჯვეს „დინამოს“ ... ტსმენებმა, რომლებმაც 3.000 ... ლებლიდან მოაგროვეს... 1.012 (გუნდს ეს ქულები შეძენეს ... ლამ — 518 და შახბაზოვმა — ... ქულა). უფრო ზორს წავიდა დო... ხუთეული, რომელთაგან ... ერთმა ვერ შეძლო ჩათვლისთვის საჭირო მინიმუმის (480 ქულა) ... ოვებაც კი.

... ბრძოლა ნებისმიერ არმიულ ... ნდან სტანდარტში 3×40-ზე (ვარ... № 8) შეჯიბრება დილ... ... სროლეთზე მიეწყო. თვითეულ ... ... ლეს წოლელა, დგომელა და ... ... ელა მდგომარეობიდან 300 მეტ... ... ნ სამოწმისაკენ უნდა გაეგზავ... 220 ტყვია. მართალია, პირველი ... ... ი 1.060 ქულას ითვალისწინ... ... მაგრამ ჩასათვლელ ნორმატი... ... მხოლოდ 1.000 ქულა იყო და... ... ული, სპორტსმენთა ნაწილმა ... მოგროვებაც ვერ შეძლო.

... გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებუ... ... გამოვიდა „დინამოს“ მსროლელ... ... კოლექტივი (მ. ილარიონოვა, ... ნაჩარი, შ. სოფრომაძე, გ. ბეგ... ... ი და პ. ბონდარჩუკი), რო... ... ც 5.240 ქულა მოაგროვა 6.000 ... ... ლებლიდან.

... ... ოსაფის გუნდიდან ორი სპორტს... — შ. ჯაბიშვილი (972 ქულა) ... ... ფალავანდიშვილი (982 ქულა) ... ... ში ვერ მოხვდნენ, ამიტო... ... გუნდმა მხოლოდ 3.076 ქულის ... ... ოვება შეძლო. უნდა აღინიშ... ... , რომ ფალავანდიშვილს წოლე... ... მდგომარეობიდან სროლაში ყვე... ... კარგი შედეგი — 380 ქულა (400 ... შესაძლებლიდან) ჰქონდა, სა... ... ერო დგომელა სროლაში სუს... ... ად გამოვიდა.

... ირად ჩათვლაში სტანდარტში ... ... ზე უკეთ მომზადებული აღ... ... ნენ დინამოელი სპორტსმენები ... ილარიონოვა და გ. ბეგთაშვილი. ... ... ელი ორი მდგომარეობიდან (წოლელა და ჩოქელა) სროლაში ... ... ონოვამ დააგროვა 378 და 365 ... ... ქულა. ბეგთაშვილმა 372 და 356 ქუ... ... ლ. მაგრამ ილარიონოვამ მოპოვე... ... ული წარმატება დგომელა სროლის



დროს დაკარგა. მოაგროვა რა 326 ქულა ბეგთაშვილის 342 ქულის წინააღმდეგ, სამივე მდგომარეობიდან სროლის ჯამში (1.069 ქულა) ბეგთაშვილს ერთი ქულით ჩამორჩა.

პირველობის უკანასკნელ სახეობას შეადგენდა მცირეკალიბრიანი ნებისმიერი შაშხანიდან (ვარჯიში № 11) სროლა.

დაიწყო სროლა 50 მეტრზე, სპორტის ამ სახეობაში ორივე გუნდი სათანადოდ მომზადებული აღმოჩნდა. პირველობა მიეკუთვნა „დინამოს“ კოლექტივს, რომელმაც 1.500 შესაძლებლიდან მოაგროვა 1.453 ქულა და სამი ქულით გაუსწრო დოსაფის მსროლელებს.

პირად ჩათვლაში ა. ქონიაძემ (დოსაფი) და დინამოელებმა ილარიონოვამ და ბაბკოვმა (მონაწილეობდნენ პირად შეჯიბრებაში) თვითეულმა 297 ქულა მოაგროვეს 300 შესაძლებლიდან.

ჩატარებული პირველობა მიზნად ისახავდა უძლიერეს მსროლელთა გამოვლინებას რესპუბლიკის ნაკრები გუნდის დასაკომპლექტებლად. შეჯიბრებამ წარმატებით გადაჭრა ეს მნიშვნელოვანი საკითხი. სროლის თითქმის ყველა სახეობაში სპორტსმენებმა გაცილებით მაღალი შედეგები აჩვენეს, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ პირველობამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც.

მონაწილეთა უმეტესობა სათანადოდ არ იყო მომზადებული, ვერ ასრულებდა ჩასათვლელი ნორმატივის მინიმუმს. განსაკუთრებით დაბალი შედეგებით აღინიშნა შეჯიბრებები პისტოლეტით სილუეტებზე და ნებისმიერი პისტოლეტით (ვარჯიში № 27) სროლებში. „გაქცეულ ირემზე“ სროლაში კი მონაწილე გუნდების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ შევიდა ჩათვლაში.

„ირემზე“ სროლა საქართველოში წელს პირველად მიეწყო. წინა წლებში ამ სახეობაში შეჯიბრება არ ტარდებოდა სპეციალური შაშხანებისა და სასროლეთის უქონლობის გამო. მართალია, დოსაფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა უკვე შეძლო „ირემზე“ სასროლეთის მოწყობა, მაგრამ შაშხანების საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. ეს სახეობა კი საკმაოდ რთულია და ხანგრძლივ ვარჯიშს საჭიროებს.

სპორტსმენთა კარგ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ კორექტორისა და მაჩვენებლის (სამიზნეზე) ზუსტ მუშაობას. კორექტორის რჩევით სპორტსმენი ყოველი გასროლის შემდეგ უნდა აზუსტებდეს მოხვედრის სისწორეს, მაგრამ ამ პირველობაზე მაჩვენებლები და კორექტორები არ აქტივობდნენ.

ჩატარებული პირველობა საუწყებათაშორისო გუნდური შეჯიბრება იყო. გუნდების გამოყვანა კი მხოლოდ ორმა საზოგადოებამ — „დინამომ“ და დოსაფმა შეძლო. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „პიშჩევიკი“ და სხვა საზოგადოებები ნაკლებად ზრუნავენ სპორტის ამ საინტერესო და სასარგებლო სახეობის დანერგვისათვის.

ო. გელაშვილი

სურათზე: სპორტული საზოგადოება „კოლმეურნის“ 1955 წლის საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული მსროლელი ა. ქონიაძე.

შეჯიბრება რეკორდებით

ამას წინათ „დინამოს“ სტადიონის ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდა რესპუბლიკის უძლიერეს მოცურავეთა ტრადიციული შეჯიბრება.

ნებისმიერი სტილით 100 მეტრზე ცურვა ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო მოიგო რ. არკადიევამ. მისი შედეგი 1.11,8 პირველი თანრიგოსნის ნორმატივს აღემატება. მეორე ადგილზე გამოვიდა შავდია, ხოლო მესამეზე — ტატიშვილი. ამავე დისტანციაზე ვაჟთა შორის ვაიმარჯვა ბარტაევმა — 1.03,8.

თავი გამოიჩინა არკადიევამ აგრეთვე 100 მეტრზე „დელფინით“ ცურვაში. მან დისტანცია დაფარა 1.27,0 და ბათუმელ ვორონინას რესპუბლიკური რეკორდი 1,7 წამით გაუუმჯობესა. ვაჟებში „დელფინით“ 200 მეტრზე ცურვაში უძლიერესი აღმოჩნდა რომანოვი — 2.43,5.

ზურგზე ცურვაში 100 მეტრზე უძლიერესი იყო გიორგიევსკაია. ვაჟებში იურჩენკომ (1.10,5) და კამენსკიმ (1.11,4) აჩვენეს პირველი თანრიგოსნის შედეგი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვის რეკორდზე იერიში მიიტანეს კრილოვამ და ანტონიანმა. ცდა წარმატებით დამთავრდა. პირველის დრო — 1.33,4 ახალი რესპუბლიკური რეკორდია 15-16 წლის გოგონებისათვის, ხოლო მეორის შედეგი — 1.15,0 ვაჟთა ახალი რესპუბლიკური რეკორდი.

ა. ბარნოვი

დრო არ ითმენს

ზუგდიდში კარგა ხანია დაიწყეს ბზადება რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის. თითქმის ყველა სახეობაში დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, მაგრამ სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას მხოლოდ მძლეოსნობის, ტანვარჯიშისა და ძალოსნობის გუნდები გადიან. ქართული ჭიდაობის, ტყვიით სროლისა და ველოსპორტის გუნდები ბაზებისა და ინვენტარის უქონლობის გამო დღემდე უმოქმედობენ. საინტერესოა, სადამდე გაგრძელდება ასე?

ა. თირქია

სპორტულ საზოგადოებებში

„პიშჩევიკი“

ლენინგრადში მიეწყო „პიშჩევიკის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა კრივში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. საინტერესო ბრძოლების შემდეგ საერთო პირველი ადგილი დაიკავა საქართველოს „პიშჩევიკის“ მოკრივეთა კოლექტივმა.

პირად ჩათვლაში საქართველოს გუნდიდან პირველი ადგილები დაიკავეს ვაშაკიძემ, ბარნაბიშვილმა, ხუციშვილმა, შამიროვმა, გ. დარბაისელმა და ნ. დარბაისელმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ლ. არუთინოვს, მესამე — გორდანიასა და ს. არუთინოვს.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 35 წლისთავის აღსანიშნავად „პიშჩევიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყო ძალოსნთა შეჯიბრება.

შეჯიბრებაზე დამყარებულ იქნა სპორტსაზოგადოების სამი რესპუბლიკური რეკორდი. ნჩატე წონაში გ. ამონიშვილმა აპიმა 77,5 კილოგრამი. მსუბუქ წონაში ვ. ბაღდასაროვმა აპიმვაში აჩვენა 92,5, ხოლო სამეიდის ჯამში — 282,5 კგ. ეს შედეგები საქართველოს „პიშჩევიკის“ ახალი რეკორდებია.

კ. ზაუტაშვილი

„დინამო“

ამას წინათ დიღმის რაიონში ჩატარდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა მოტოკროსში. შეჯიბრების მონაწილეებს 30 კილომეტრი უნდა დაეფარათ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში. მთელი ტრასა დაფარული იყო თოვლის სქელი ფენით და საკმარისად ყინავდა.

სტარტიდან თავიდან დაწინაურდა კაფაროვი, მაგრამ მას გაუფუჭდა მანქანა, რითაც ისარგებლა მეტრეველმა და რბოლას სათავეში ჩაუდგა. ყოველ ახალ წრეზე წინწასულს ეწეოდა კოშელიოვი, რომელმაც გაუსწრო ლიდერს და პირველმა დაამთავრა დისტანცია.

უნდა აღინიშნოს, რომ „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ ასეთი შეჯიბრება პირველად ჩაატარა და მან სპორტსმენთა მაღალი მორალური ჩვევები, კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა.

თ. სისოკრდია

„კოლმეურნე“

გორკში წელს მეორედ მიეწყო სოფლის ფიზკულტურელთა საკავშირო პირველობა სათხილამურო სპორტში. აქ შეიკრიბა რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, კარელიო-ფინეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, საქართველოსა და სომხეთის გუნდები.

ვაჟთა ამანათრბენში 4×10-ზე გამარჯვებული გამოვიდა რსფსრ-ს პირველი გუნდი — 2:23.19. ქალებში (3×5) უძლიერესი აღმოჩნდა ამავე რესპუბლიკის პირველი გუნდი შედეგით 1:02.15.

30-კილომეტრიან დისტანციაზე სტარტი აიღო 67 სპორტსმენმა. გამარჯვება წილად ხვდა რსფსრ-ს პირველი გუნდის წარმომადგენელს სპორტის ოსტატ ა. კუზნეცოვს — 1:40,51, იგი პირველი იყო 15 და 50-კილომეტრიან დისტანციაზე რბენებშიც.

ნრაკალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა სათხილამურო სპორტის ულამაზესმა სახეობამ — სლალომმა. ქალთა შორის ორი ცდის შემდეგ პირველობა მიეკუთვნა ი. იგნატიევას (რსფსრ). ვაჟ სლალომისტთა შეჯიბრებაში პირველსავე ცდაში უძლიერესი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი სოფლის ახალგაზრდებს შორის, ბაკურიანელი პ. კოზანაშვილი (32,2). მან მეორე ცდაში უჯარიმოდ გაიარა ყველა საკონტროლო კარი და მეორედ მოიპოვა ჩემპიონის საპატიო წოდება (68,9 წამი).

ჩვენი რესპუბლიკიდან სამთო ორჭიდელთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბაკურიანელი პ. გავა. ორჭიდის პირველ სახეობაში 15 კილომეტრზე რბენაში პირველობა წილად ხვდა რსფსრ-ს წარმომადგენელს მ. დობრიჩევს, რომელმაც აღნიშნული მანძილი 57 წუთსა და 58 წამში გაირბინა. პ. გავამ მოიპოვა მეოთხე ადგილი შედეგით — 1:04.44. მართალია საქართველოს წარმომადგენელმა ყველას აჯობა სამთო ორჭიდის მეორე სახეობაში — ტრამპლინიდან ხტომაში, მაგრამ რბენის დროს დაკარგულმა ქულებმა მას საშუალება არ მისცა მოეპოვებინა ჩემპიონობა. გაიმარჯვა დობორიჩევმა, რომელმაც ორჭიდში 437,2 ქულა მოაგროვა. პ. გავა 426.1 ქულით გამოვიდა მეორე ადგილზე.

პ. გავამ ორჭიდში დამარცხებისათვის რევანში ტრამპლინიდან ხტომებში აიღო და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა სოფლის ახალგაზრდებს შორის.

გუნდური პირველობა წილად ხვდა რსფსრ-ს პირველ კოლექტივს. საქართველოს გუნდი გამოვიდა მეექვსე ადგილზე.

ო. ივდოშვილი



ზონალური ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

საბჭოთა კავშირის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში წელს ორ ეტაპად ტარდება. უძლიერესი სპორტსმენები ჯერ ერთმანეთს ნახევარფინალში ხვდებიან.

ნახევარფინალური მატჩები ჩატარდა ტაშკენტში, რიგაში, კიევსა და თბილისში. თბილისის ზონაში გამოდიოდნენ ამიერკავკასიის წარმომადგენელი მაგიდის ჩოგბურთელები და რამდენიმე სპორტსმენი მოსკოვიდან და რსფსრ-დან. მონაწილეთა შორის იყვნენ სპორტის ოსტატები აკოპიანი, ზახარიანი (ერევანი), პაშკევიჩუსი (მოსკოვი) და სხვები.

შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენები პირდაპირ ფინალში გადიოდნენ. ქალთა შორის პირველ ჯგუფში მაღალი ოსტატობა გამოავლინა სპორტის ოსტატმა ზახარიანმა. მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა მოსკოველმა კორნეევამ.

მეორე ჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელი იზაშვილი. იზაშვილმა მთელი ტურნირი თანაბარი სიძლიერით ჩაატარა. იგი აგრესიული იყო თავდასხმაში და ზუსტი დაცვაში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში იზაშვილის თამაში საგრძნობლად დაიხვეწა. დღეს მას წარმატებით შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელებს. მხოლოდ ერთი რამ გვინდა ვუსურვოთ მას—გადამწყვეტ მომენტებში მეტი გაბედულებით და თამამად ბრძოლა გამარჯვებისათვის.

საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა ტურნირი. პირველ ჯგუფში, რომელიც მოსალოდნელი იყო გაიმარჯვა აკოპიანმა, მეორე ადგილზე გამოვიდა რსფსრ-ს წარმომადგენელი სპაკოინი. მეორე ჯგუფში გამარჯვებულის გამოსავლენებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორი მოსკოველის მეკსას და პაშკევიჩუსის შეხვედრას. საინტერესო, მეტად დაძაბული და ამაღელვებელი მომენტებით აღსავსე თამაში დამსახურებულად მოიგო მეკსამ. მან ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა და პირველი ადგილი დაისაკუთრა.

* * *

სურათებზე: მარცხნივ ზევით — თბილისელი ე. ხანთაძე. ქვევით — ი. იზაშვილი. მარჯვნივ — ა. აკოპიანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის

★

საქართველოს XVII საჭადრაკო ჩემპიონატი

★

ველოსიპედებით ბათუმის ქუჩებში

ბათუმის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით საბჭოთა ჯარისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად მოეწყო ველოსიპედისტთა შეჯიბრება გარდამავალ თასზე.

სპორტსმენებს უნდა დაეძლიათ 15-კილომეტრიანი წრე ბათუმის ირგვლივ. თავდაპირველად წინ გავიდა „პიშჩევიკის“ წარმომადგენელი სიკორსკი, მაგრამ მეხუთე კილომეტრზე მას მანქანა დაუზიანდა. ლიდერობა ხელთ იგდო მისმა თანაკლუბელმა დოლიძემ, რომელმაც პირველმა დაამთავრა დისტანცია, დოლიძემ 15-კილომეტრიანი ტრასა 28.04,6 დაფარა. მეორე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენი კუტუბიძე („ბურევესტნიკი“), მესამეზე ფ. გონჩაროვი.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა იუკინამ. მეორე ადგილზე გამოვიდა წეროძე, ხოლო მესამეზე — კორობკინა.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი წილად ხვდათ „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებს.

მ. კირაკოსიანი

მაღალი შედეგები

მონკავშირის სტენდზე მოეწყო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება, რომლის პროგრამაში იყო ადგილიდან სროლა 100 სამიზნეზე ვაჟებისათვის და 50 სამიზნეზე ქალებისათვის.

ვაჟთა შეჯიბრებაში ორ-ორი სერიის შემდეგ (50 გასროლა) სპორტის ოსტატებმა შ. ჩახნაშვილმა და ზ. მაჩხანელმა დააზიანეს 46 სამიზნე თვითეულმა, მეტოქეებს ერთი ქულით უსწრებდა დ. ცაგარეიშვილი. პირველობის ბედი უნდა გადაეწყვიტა ორ უკანასკნელ სერიას. შ. ჩახნაშვილმა გაიმეორა პირველი ორი სერიის შედეგი და 100 გასროლიდან 92 სამიზნე გატეხა, დ. ცაგარეიშვილმა კი 94. საერთაშორისო ოსტატმა ზ. მაჩხანელმა სუფთად გაიარა ბოლო ორი სერია და 50 შესაძლებლიდან ყველა სამიზნე გატეხა და 100 გასროლით დაამსხვრია რა 96 სამიზნე, გამარჯვებული გამოვიდა.

ქალთა შორის ე. მელიქიშვილმა 50 შესაძლებლიდან დააზიანა 37 სამიზნე. მან „რეკორდის დასამყარებლად კიდევ 50 სამიზნე მოითხოვა და 35 ვატეხა. 100 შესაძლებლიდან 72 სამიზნეს დაზიანებით გაუმჯობესა ე. მიხაილოვას („ლოკომოტივი“) რესპუბლიკური რეკორდი, მეორე ადგილზე გამოვიდა ს. ციციშვილი, მესამე — კ. გაგუა.

სამხედრო მონაწილეთა კავშირის სპორტსმენთა მიერ სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების პროგრამაში იყო სროლა ადგილიდან და მრგვალ სტენდზე.

როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში ვამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბ. ანტონოვი, რომელმაც ორივე სახეობის 50-50 გასროლიდან 48-48 სამიზნე გატეხა. ადგილიდან სროლაში მეორე ადგილი ზოიპოვ სპორტის ოსტატმა ა. გობარელმა — 46 ქულა, მესამე პოდსუხინმა (42 ქულა).

ვ. ღვინიაშვილი

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს მოჭადრაკეებმა საკავშირო სარბიელზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ახალგაზრდა ბ. გურგენიძის სახით საქართველოს მოჭადრაკეთა კოლექტივს სპორტის ახალი ოსტატი შეემატა, ჭაბუკმა მოჭადრაკეებმა საკავშირო ვუნდურ პირველობაში მეორე ადგილი დიკავეს, მოჭადრაკე ქალები ე. კაკაბაძე და ქ. გოგიავა „ბურევესტნიკის“ საკავშირო პირველობის ფინალში გავიდნენ და სხვ. ყველაფერი ეს მეტყველებს რესპუბლიკაში საჭადრაკო მუშაობის საგრძნობ გაუმჯობესებაზე. ამიტომ საქართველოს XVII პირველობა, რომელიც საქართველოს წამყვანი მოჭადრაკეების შემოქმედებითი დათვალიერებაა, საზოგადოებრიობის დიდ ინტერესს იწვევს.

თბილისში, რესპუბლიკური საჭადრაკო კლუბის დარბაზში, მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მოიყარა თავი. საქართველოს XVII ჩემპიონატში რესპუბლიკის თითქმის ყველა უძლიერესი მოჭადრაკე ჩაება.

პირველობაში მონაწილეობისათვის იბრძოდა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების 100-ზე მეტი მოჭადრაკე. შეჯიბრებას წინ უსწრებდა ორი ნახევარფინალური ტურნირი, რომელიც თელავსა და მახარაძეში ჩატარდა. ამრიგად, ფინალურ ტურნირში მოხვდნენ თბილისის 1956 წლის პირველობასა და ნახევარფინალურ ტურნირებში გამარჯვებულნი, კენჭის ყრის შედეგად ისინი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. გ. მაჭავარიანი, 2. ოსტატი ბ. გურგენიძე, 3. მ. დემურია (ზუგდიდი), 4. ე. გაფრინდაშვილი, 5. ო. გასიევი (სტალინირი) 6. ე. გერსამია, 7. ოსტატობის კანდიდატი ლ. გერშკოვიჩი, 8. მ. ზვიადაძე 9. ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, 10. ს. ელბაქიძე (სტალინირი), 11. ოსტატობის კანდიდატი ბ. ბლაგიძე, 12. ოსტატობის კანდიდატი ნ. სოროკინი, 13. ა. რაზოვსკი (ქუთაისი), 14. ოსტატობის კანდიდატი ა. ბუსლაევი, 15. რ. კაკიაშვილი, 16. ს. გუგუნავა (ზახარაძე), 17. ოსტატი მ. შიშოვი, 18. გ. კალატოზიშვილი.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციამ დააწესა ა. ალიოხინის სახელობის სპეციალური პრიზი ყველაზე ლამაზი, კომბინაციური პარტიისათვის, რომელიც ჩემპიონატში გათამაშდება.

პირველი ტური

შეჯიბრების დასაწყისში ყველას ხალისიანი განწყობა აქვს. ეს ბუნებრივია, რადგან წინ ყველა იმედიანად იყურება, გადაწყვეტილი აქვთ შეუპოვრად იბრძოლონ ჩემპიონის სატიტო სახელისათვის. ეს პირველმა ტურმაც ცხადყო.

ამ დღეს მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. რასაკვირველია, კურადღების ცენტრში ორი ოსტატის შიშოვისა და გურგენიძის პარტია იყო. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ შიშოვი მოსწავლე გურგენიძეს ჭადრაკის საიდუმლოებას აცნობდა, უზიარებდა თავის მდიდარ გამოცდილებას. ახლა კი ისინი როგორც სწორნი მიუსხდნენ დაფას. ესპანურ პარტიაში გურგენიძემ (თეთრები) მხოლოდ თანაბარი თამაში მიიღო. ბრძოლის გამწვავების მიზნით იგი გართულების გზებს ეძებდა. ამასობაში დაუშვა შეცდომა და შიშოვმა კომბინაციური ხერხით მოიგო პაიკი. შემდეგ გურგენიძე შეეცადა მეორე პაიკის შეწირვით ხელთ ეგდო ინიციატივა. მაგრამ შიშოვმა დაამტკიცა რა უკან ერთი პაიკი, განაგრძობდა უპირატესობის შენარჩუნებას. პარტია

ერთ-ერთ ადგილზე ოსტატ ბ. გურგენიძეს ოსტატ მ. შიშოვს ერეკებოდა. ეს ბოლო ბოლო ერთ-ერთ ადგილზე ოსტატ ბ. გურგენიძეს ოსტატ მ. შიშოვს ერეკებოდა. ეს ბოლო ბოლო ერთ-ერთ ადგილზე ოსტატ ბ. გურგენიძეს ოსტატ მ. შიშოვს ერეკებოდა. ეს ბოლო ბოლო